„დინამო“ (მინსკი) – „დინამო“ (თბილისი) – 0:0.

მინსკი. „დინამოს“ სტადიონი. 11 ოქტომბერი.

„მინსკი: საცუნკევიჩი, როდნენოკი, მეტლიცკი, გომონოვი, შიროკი, (ანტანევიჩი), ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, მარბელი, ალეინიკოვი, გურინოვიჩი, კონდრატიევი (სოკოლი).

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა (ფანცულაია), გურული, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ო. ჩინენოვი (მოსკოვი)

გააფრთხილეს ფანცულაია.

დუბლიორები - 3:0.

თამაშის პირველი ნახევარი მინსკელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობით აღინიშნა. მასპინძლები მინდვრის შუაგულს საფუძვლიანად ფლობდნენ, მაგრამ მეტოქის კართან მიახლოებისას კარგავდნენ თავიანთ უპირატესობას და ვერ სძლევდნენ თბილისელთა დაცვის წინააღმდეგობას. და, მაინც, მინსკელთა ამ უპირატესობის ფონზე, ყურადღებას იპყრობდა თბილისელთ დაცვითი ხაზების უნარიანი მოქმედება და მოულოდნელი, სწრაფი კონტრშეტევები, რომლებსაც შეიძლება გოლიც მოჰყოლოდა.

კვლავ კარგად ითამაშა გაბელიამ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. ერთ-ერთ მომენტში კი კონდრატიევის სახიფათო დარტყმა ძელს მოხვდა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა ბრძოლის სურათი შესვენების შემდეგ. თბილისელებმა საგრძნობლად გააძლიერეს თამაში, უფრო აქტიურად ამოქმედდნენ ნახევარმცველები, რომლებიც მინდვრის შუაგულში უკვე არაფერს უთმობდნენ მეტოქეებს. მცველებს საშუალება მიეცათ თავიანთი კარიდან მოშორებით გადაენაცვლათ. სულ უფრო ხშირად ერთვოდა იერიშში კეტაშვილი. ორივე მხარემ ბოლომდე სრული ძალით და შესაძლებლობით იბრძოდა და დაძაბული ბრძოლაც ფრედ დამთავრდა - 0:0.

ეს ერთი ქულა სტუმრად ჩატარებულ მატჩში თბილისის დინამოელთა კარგი შენაძენია. ვფიქრობთ, ჩვენს გუნდს სამერმისოდ შესაძლებლობა ექნება უფრო დაიმედებულად, ზედმეტი ნერვული სტრესების გარეშე იბრძოლოს ჩემპიონატში

მაღალი ადგილის დასაკავებლად. მორიგი მატჩი კი თბილისის „დინამოს“ შინ აქვს 22 ოქტომბერს ლენინგრადის „ზენიტთან“.

ლელო 13.10.1988